ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულო

გ ა ნ კ ა რ გ უ ლ ე ბ ა

№ _____

ქალაქი ქუთაისი _____ _____ოქტომბერი_____ 2024 წელი

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების,
პირდაპირი განკარგვის წესით (სასყიდლით, პირობებით), იჯარის ფორმით,
მოქალაქე გია გოგავასათვის
სარგებლობაში გადაცემის თაობაზე, ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის
მერისათვის თანხმობის მიცემის შ ე ს ა ხ ე ბ

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ 54-ე მუხლის პირველი პუნქტის „დ“ ქვეპუნქტის „დ.დ“ ქვეპუნქტის, „მუნიციპალიტეტის ქონების პრივატიზების, სარგებლობისა და მართვის უფლებებით გადაცემის, საპრივატიზებო საფასურის, საწყისი საპრივატიზებო საფასურის, ქირის საფასურის, ქირის საწყისი საფასურის განსაზღვრის და ანგარიშსწორების წესების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2014 წლის 8 დეკემბრის №669 დადგენილების, „ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის ქონების პრივატიზების, სარგებლობისა და მართვის უფლებებით გადაცემის, საპრივატიზებო საფასურის, საწყისი საპრივატიზებო საფასურის, ქირის საფასურის, ქირის საწყისი საფასურის განსაზღვრისა და ანგარიშსწორების წესების დამტკიცების შესახებ“ ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2015 წლის 9 იანვრის №65 დადგენილებისა და ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერის 2024 წლის ---- ოქტომბრის № ---------- ------- წერილობითი მომართვის შესაბამისად:

მუხლი 1. მიეცეს თანხმობა ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერს, მოქალაქე გია გოგავასათვის (პირადი №60001103646) პირდაპირი განკარგვის წესით (სასყიდლით, პირობებით), იჯარის ფორმით, ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული, ქალაქ ქუთაისში, თაბუკაშვილის ქუჩა №26-ში (საბავშვო ბაღის აღმოსავლეთით) მდებარე უძრავი ქონების ნაწილის (გაზონი, საჯარო რეესტრის ამონაწერი №03.05.01.633; ფართობი - 154.00 კვ.მ;) 20 (ოცი) წლის ვადით, სარგებლობაში გადაცემის თაობაზე.

მუხლი 2. ქონების წლიური სარგებლობის ქირა განისაზღვროს ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიასა და სსიპ ,,ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნულ ბიუროს“ შორის 2023 წლის 03 თებერვალს გაფორმებული №2000189623 ხელშეკრულების საფუძველზე, სსიპ ,,ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნულ ბიუროს“ მიერ წარმოდგენილი დასკვნის (20.09.2023 წლის №006668623) მიხედვით, რომელიც 154 კვ.მ უძრავი ქონებისათვის განისაზღვრება 3 696.00 (სამიათას ექვსას ოთხმოცდათექვსმეტი) ლარის ოდენობით. 5 (ხუთი) საანგარიშო წლის შემდეგ განხორციელდეს, ქონების წლიური საიჯარო ქირის გადახედვა, მისი გაზრდის მიზნით.

მუხლი 4. მოქალაქე გია გოგავა (პირადი №60001103646) ვალდებულია უზრუნველყოს იჯარის ფორმით გადაცემული უძრავი ქონების დარჩენილი ნაწილის განაშენიანება და მისი მოვლა-პატრონობა (მწვანე ნარგავების დარგვა და არსებულის მოვლა).

მუხლი 5. ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერმა უზრუნველყოს იჯარის ხელშეკრულების მომზადება და გაფორმება საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესითა და ვადებით.

მუხლი 6. კონტროლი განკარგულების შესრულებაზე განახორციელოს ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ეკონომიკის, ქონების მართვისა და საქალაქო მეურნეობის კომისიამ.

მუხლი 7. განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს, კანონით დადგენილი წესით, ქუთაისის საქალაქო სასამართლოში (ვ.კუპრაძის ქუჩა №11), მისი გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.

მუხლი 8. განკარგულება ძალაში შევიდეს კანონით დადგენილი წესით.

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერის
მოვალეობის შემსრულებელი: დავით ერემეიშვილი

,,ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების,
პირდაპირი განკარგვის წესით (სასყიდლით, პირობებით), იჯარის ფორმით,
მოქალაქე გია გოგავასათვის
სარგებლობაში გადაცემის თაობაზე, ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის
მერისათვის თანხმობის მიცემის შ ე ს ა ხ ე ბ“
განკარგულების პროექტთან დაკავშირებით

განმარტებითი ბარათი

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიაში შემოსული იქნა მოქალაქე გია გიგავას (24.09.2024 წლის N19/4424268329-44) განცხადება, რომელიც შეეხება ქალაქ ქუთაისში, თაბუკაშვილის ქუჩა N26-ში მდებარე უძრავი ქონების იჯარის ფორმით სარგებლობაში გადაცემას.

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში რეგისტრირებულია ქალაქ ქუთაისში, თაბუკაშვილის ქუჩა №26-ში (საბავშვო ბაღის აღმოსავლეთით) მდებარე უძრავი ქონება (გაზონი, საჯარო რეესტრის ამონაწერი №03.05.01.633; ფართობი - 772.00 კვ.მ).

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიას მიზანშეწონილად მიაჩნია განხორციელდეს მოქალაქე გია გოგავასათვის (პირადი №60001103646) პირდაპირი განკარგვის წესით (სასყიდლით, პირობებით), იჯარის ფორმით, ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული, ქალაქ ქუთაისში, თაბუკაშვილის ქუჩა №26-ში (საბავშვო ბაღის აღმოსავლეთით) მდებარე უძრავი ქონების ნაწილის (გაზონი, საჯარო რეესტრის ამონაწერი №03.05.01.633; ფართობი - 154.00 კვ.მ;) 20 (ოცი) წლის ვადით, სარგებლობაში გადაცემა.

ქონების წლიური სარგებლობის ქირა განისაზღვროს ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიასა და სსიპ ,,ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნულ ბიუროს“ შორის 2023 წლის 03 თებერვალს გაფორმებული №2000189623 ხელშეკრულების საფუძველზე, სსიპ ,,ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნულ ბიუროს“ მიერ წარმოდგენილი დასკვნის (20.09.2023წლის №006668623) მიხედვით, რომელიც 154 კვ.მ უძრავი ქონებისათვის განისაზღვრება 3 696.00 (სამიათას ექვსას ოთხმოცდათექვსმეტი) ლარის ოდენობით. 5 (ხუთი) საანგარიშო წლის შემდეგ განხორციელდეს, ქონების წლიური საიჯარო ქირის გადახედვა, მისი გაზრდის მიზნით.

ასევე, მოქალაქე გია გოგავა (პირადი №60001103646) ვალდებულია უზრუნველყოს იჯარის ფორმით გადაცემული უძრავი ქონების დარჩენილი ნაწილის განაშენიანება და მისი მოვლა-პატრონობა (მწვანე ნარგავების დარგვა და არსებულის მოვლა).

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ 54-ე მუხლის „დ“ ქვეპუნქტის „დ.დ“ ქვეპუნქტის შესაბამისად, მუნიციპალიტეტის მერი - საკრებულოს თანხმობით წყვეტს უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის წესით სასყიდლით ან უსასყიდლოდ სარგებლობის უფლებით, პირობით ან უპირობოდ გაცემის საკითხს.

შესაბამისად წარმოდგენილია, ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი ,,ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების, პირდაპირი განკარგვის წესით (სასყიდლით, პირობებით), იჯარის ფორმით, მოქალაქე გია გოგავასათვის სარგებლობაში გადაცემის თაობაზე, ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერისათვის თანხმობის მიცემის შესახებ.“

საკრებულოს სხდომაზე აღნიშნულ საკითხს წარადგენს ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიის პირველადი სტრუქტურული ერთეულის ეკონომიკური განვითარების, ადგილობრივი თვითმმართველობის ქონებისა და ტრანსპორტის მართვის სამსახურის ხელმძღვანელის მოვალეობის შემსრულებელი ვალერიანე სილაგაძე.

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერის
მოვალეობის შემსრულებელი: დავით ერემეიშვილი